საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/61 "5" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

გ. ჯეირანაშვილის ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის 7 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 3 მოსამართლე ახორციელებს. ამასთან, რაიონული სასამართლოს მოსამართლეები უფლებამოსილებას ახორციელებენ, ასევე, ახალციხის რაიონული სასამართლოს 3 მაგისტრატ სასამართლოში. დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შეივსოს ვაკანსია როგორც რაიონულ, ისე მაგისტრატ სასამართლოებშიც.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა მხოლოდ ერთი - მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის განაცხადი. გ. ჯეირანაშვილი ამჟამად უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. იგი 2009-2018 წლებში იყო ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, შესაბამისად გასათვალისწინებელია მის მიერ ახალციხის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეთა სპეციფიკის ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება. გ. ჯეირანაშვილს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. ახალციხეში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გოჩა ჯეირანაშვილი გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2020 წლის 10 ივნისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი